ხელშეკრულება №77

ქ. თბილისი 14 ივნისი 2019წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი წარმოდგენილი მისი დირექტორის გაგა ჩხეიძის სახით (შემდგომ -„კინოცენტრი") და მეორე მხრივ შპს „ვი თი ჯორჯია“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე თოდრიას სახით (შემდგომ - „გამქირავებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1.წინამდებარე ხელშეკრულებით „გამქირავებელი" იღებს ვალდებულებას მიაქირაოს „კინოცენტრს", ქ. რომში მდებარე სასტუმროში „Hotel GARDA ROMA“, მდებარე 4 ოთახი (CPV55100000) (შემდგომ – „მომსახურება“), კინოცენტრის მიერ ქ. რომში 2019 წლის 16-18 ივნისს დაგეგმილი ღონისძიების – „ქართული კინოს დღეების“ ფარგლებში მონაწილე მუსიკოსებისთვის: თამარი თოლორდავა, დავით შუღლიაშვილი, ია შუღლიაშვილი, რევაზ კიკნაძე, ნიკოლოზ გაბაძე, ლაშა საყვარელიძე, რომლებიც მუსიკალურად გააფორმებენ ღონისძიებას.

1.2. 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „მომსახურების“ შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატერების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-2 მუხლის, „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მონეტარული ზღვრების დაცვით, დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.გასაწევი „მომსახურების“ საერთო ღირებულებაა – 3 899.90 (სამი ათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 90 თეთრი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1.„გამქირავებელმა” უნდა გადასცეს „კინოცენტრს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

3.2. „გამქირავებელი" კისრულობს ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ განიხილოს ფასების მომატების საკითხი.

3.3. „გამქირავებელი“ ვალდებულია მიაქირაოს „კინოცენტრს“ ოთახები: 2019 წლის 15-19 ივნისს, 4 ოთახი (2 ოთახი – 2 ღამე, 2 ოთახი - 4 ღამე);

3.4.„კინოცენტრი“ ვალდებულია „გამქირავებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული „მომსახურების“ ღირებულება.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება „გამქირავებელთან“ განხორციელდება ლარებში.

4.2 ანგარიშსწორება მოხდება, „მომსახურების“ გაწევის შემდგომ შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის, ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის გაფორმებიდან, არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

4.3.ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება „გამქირავებლის“ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

5. ხელშეკრულების მიღება-ჩაბარების წესი

5.1„მომსახურება“ გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებისა ან/და „კინოცენტრისათვის“ ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი), ან სასაქონლო ზედნადების გადაცემის შემდეგ.

6. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

6.1. „გამქირავებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული „მომსახურება“ არ გამოავლენს ხარვეზს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

7.ხელშეკრულების ვადა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 25 ივლისამდე.

8. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

8.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება პირგასამტეხლოს სახით, კერძოდ: შეუსრულებელი ვალდებულებების 0.01%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1ხელშეკრულების მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელიც სცილდება მხარეთა კონტროლს და რომლის მოქმედებაც არ არის დამოკიდებული ერთ-ერთი მხარის ნებაზე.

9.2.მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

9.3.მხარეებმა უნდა შეატყობინონ ერთმანეთს წერილობით ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისთანავე.

10. დავა

10.1. მხარეებს შორის დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

10.2.მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლო წესით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა და ცვლილებების შეტანა

11.1.ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.2.ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვადებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ სამი დღით ადრე.

11.3.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.4.ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11.5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.6.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. „კინოცენტრი" უფლებამოსილია „მომსახურების" გაწევის პარალელურად მოახდინოს „მომსახურების" შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „კინოცენტრის" მოთხოვნებთან.

12.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „კინოცენტრი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „გამქირავებლს" დაწუნებული „მომსახურების" ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

12.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „გამქირავებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4 კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე დაეკისროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროექტების მენეჯერს, ლევან ლომჯარიას.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანასწორი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.

13.2.წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

14. მხარეთა რეკვიზიტები

„კინოცენტრი"
ქ.თბილისი 0105
სანაპიროს ქ.4
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ანგარიშის №708067519
ს/კ № 204425121;

დირექტორი

გაგა ჩხეიძე

„გამქირავებელი"
ქ.თბილისი
სანქტ-პეტერბურგის ქ. № 13/63
სს „თიბისი ბანკი" მარჯ/ფილ.
ბ/კ TBCBE22
ა/ა № GE96 TB7824236020100002
ს/კ 404393214

დირექტორი

ივანე თოდრია

LEPL GEORGIAN
NATIONAL FILM CENTER
2019.06.14 15:15:47
+04'00'

Ivane Todria
Digitally signed by Ivane Todria
Date: 2019.06.14 15:39:14 +04'00'